

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეგულირება და საინვესტიციო პორტფელის რისკების მართვა საქართველოში

ჭიოტაშვილი დავით

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
ORCID-0000-0002-2500-6252

ჩიტაძე ხალიანა

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
ORCID-0000-0001-6795-9484

<https://doi.org/10.52340/idw.2025.72>

აბსტრაქტი: დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დინამიური, სტაბილური და ეფექტური მექანიზმია. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა და სრულყოფა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს და კერძო სექტორის ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებასთან, დეპოზიტორების დაცვასა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისების პრევენციასთან.

დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტების და შესაბამისად დეპოზიტორების დაცვას დეპოზიტების დაკარგვისგან და მისი მთავარი მიზანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ბანკებზე არსებული რისკების განეიტრალება და შერბილება. გამომდინარე აქედან ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გავაანალიზოთ, საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეგულირება და საინვესტიციო პორტფელის რისკების მართვა, რეფორმის მართვის მექანიზმები და მისი ეკონომიკური და ფინანსური ეფექტი.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა საქართველოში 2018 წლიდან დაიწყო საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებით და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკა, სისტემის წარმატების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. თუმცა, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად საერთაშორისო მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა, აღნიშნული რეფორმა კვლავ განვითარების პროცესშია და მოითხოვს საბოლოო შედეგის სახით ჩამოყალიბებას.

დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკა იძლევა მისი ეფექტური მართვის საშუალებას და შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს დეპოზიტების დაცვას სხვადასხვა ფინანსური რისკებისაგან რომლებიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევებისაგან.

საკვანძო სიტყვები: დეპოზიტების დაზღვევა; საინვესტიციო პოლიტიკა; რისკების საინვესტიციო პორტფელი; საბანკო სისტემა; რისკების მართვა; დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო.

შესავალი

თანამედროვე დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო მეოცე საუკუნის დასასრულიდან და ზოგადად

დაკავშირებულიყო მძიმე საბანკო კრიზისებთან. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრმა უამრავმა ქვეყანამ დაიწყო. აღნიშნული სისტემა, მისი საინვესტიციო პოლიტიკა და მართვა, მოიცავს დეპოზიტებს და დეპოზიტორებს, რომელთაც თავის მხრივ შესაბამისი დაცვა და ფინანსური უსაფრთხოება ესაჭიროება, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის თანმიმდევრული და სისტემური სტრატეგიის შემუშავებით. საბანკო სისტემა ითვლება ყველაზე ძლიერ და განვითარებულ საფინანსო-საკრედიტო სფეროდ, რომელსაც ესაჭიროებათ ფინანსური უსაფრთხოების დაცვა და კატასტროფული ფინანსური რისკებისგან მიყენებული ზარალის შემცირება, ან თავიდან აცილება. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის უმთავრესი ამოცანაა დეპოზიტორების და შესაბამისად საბანკო სექტორის დაცულობა და ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა 2017 წელს მიღებული კანონმდებლობით, 2018 წლიდან დაიწერა საერთაშორისო პრინციპების, საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებამ. ამავე დროს საქართველოში შეიქმნა თანამედროვე საზედამხებდევლო და მარეგულირებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა, მისი გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება, დეპოზიტების დაზღვევის სისტემების უსაფრთხოება, საინვესტიციო პოლიტიკის მართვა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა დღეისათვის მსოფლიოს 146 ქვეყანაში ფუნქციონირებს, მათ შორის ევროკავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მეთოდოლოგია

ნაშრომი მოიცავს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეგულირებას, საინვესტიციო პორტფელის რისკების მართვას, საინვესტიციო პოლიტიკას, მის შესაბამისობას საფინანსო ბაზრის და მომხმარებლების მოთხოვნილებებთან და განვითარების და რეგულირების ეტაპებს საქართველოში.

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი მიდგომები არსებული რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებს, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ადმინისტრაციის ინფორმაციას და სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებს. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება მიღებული მონაცემების ანალიზს არსებულ მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

განხილვა და დისკუსია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 2018 წლიდან დაიწერა და დღემდე განაგრძობს განვითარებას. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა გათვალისწინებული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკა რეგულირდება საქართველოს კანონებით: „დეპოზიტების დაზღვევის

სისტემის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რაც ეფუძნება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის სახსრების ინვესტირების მთავარ პრინციპებს: უსაფრთხოება, ლიკვიდურობა და დივერსიფიცირება. უსაფრთხოება გულისხმობს ინვესტიციებს, რომლის გაუფასურების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი და რომელთა საბაზრო ღირებულება უმნიშვნელოდ ცვალებადია. უსაფრთხო აქტივები მოიცავს სამთავრობო და ეროვნული ბანკის ფასიან ქაღალდებს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სავალო ინსტრუმენტებს, გამომდინარე მათი, როგორც უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორის საინვესტიციო რეიტინგიდან. ლიკვიდურობა გულისხმობს ინვესტიციების კონვერტაციას ფულად ფორმაში მაქსიმალურად მოკლე ვადაში და მინიმალური დანაკარგებით. რაც შეეხება დივერსიფიცირება გულისხმობს საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას განსხვავებული ემიტენტებით და სხვადასხვა ვადიანობის ინსტრუმენტებით, რომელთა ფასის ცვლილება შედარებით მდგრადია.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩამოყალიბებულიყო სწორად გათვლილი საზედამხედველო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყანაში სტაბილური ფინანსური გარემოს შექმნას. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია სტრატეგიული ფუნქციონირება, სისტემის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციათა შესრულების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო დაფუძნების დღიდან იზიარებს დეპოზიტების დაზღვევის უახლოეს საერთაშორისო ევროპულ ტენდენციებს და აყალიბებდა საშუალოვადიანი პერიოდის სტრატეგიულ გეგმებს. პრაქტიკიდან გამომდინარე სააგენტომ დასახა გარკვეული მიზნები და აქტივობები თავისი მიზნის მისაღწევად. ძირითადი სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ხელს შეუწყობს დეპოზიტების დაზღვევის განვითარებას არის შემდეგი:

- სააგენტოს არსებული ფუნქციების გაძლიერება;
- ევროდირექტივებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირება;
- დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება;
- სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება.

დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკის ინვესტირებისას, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ ხუთ ძირითად რისკს: საკრედიტო რისკები, ლიკვიდურობის რისკები, საბაზრო რისკები, სავალუტო რისკები და საოპერაციო რისკები.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უნდა გახდეს თანამედროვე და ეფექტური სახელმწიფო ორგანო, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მსგავსი ტიპის უწყებებისთვის ერთგვარი წარმატებული მოდელი იქნება. სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) მიერ დადგენილი დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო სტანდარტებით და დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითადი პრინციპებით (IADI, “Core Principles for Effective DIS”). 2022 წლიდან საქართველო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (LADI) წევრია.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მიერ ძირითადი ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისათვის, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი

ცნობადობის ამაღლება, ნდობის მოპოვება და შენარჩუნება.

სტატისტიკური მონაცემები და შედეგები

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საფინანსო სისტემა საკმაოდ მდგრადი და სტაბილურია. თავის მხრივ, საბანკო სისტემა მაღალკაპიტალიზებული, ლიკვიდური და მომგებიანია. დღეის მდგომარეობით საქართველოში 19 კომერციული ბანკია. მათგან ყველაზე მსხვილი ორი ბანკი, რომელთა მთლიანი აქტივები საბანკო სისტემის 74,4%-ს შეადგენს და ლონდონის საფონდო ბირჟაზეა წარმოდგენილი. საბანკო სისტემა ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, რაც ხელს უწყობს სექტორის სტაბილურობას და არსებული მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 19.2%-ს შეადგენს. პოზიტიურად არის შეფასებული კაპიტალის ზრდის რესურსი როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით. საბანკო სექტორის სტაბილურობაზე მიუთითებს სასესხო პორტფელიც, რომელიც დაახლოებით 30.75 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც უმოქმედო სესხი საქართველოს ეროვნული ბანკის კლასიფიკაციით 5,2%, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით - 2,69%-ია. საბანკო სისტემის ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 22.32%-ს შეადგენს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 39.37%-ის დასაფარად. რაც შეეხება არასაბანკო დეპოზიტებს, 26.3 მილიარდ ლარს აღწევს, საიდანაც ფიზიკური და იურიდიული პირების წილი შესაბამისად 56% და 44%-ია. სისტემის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 39%-ს შეადგენს და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბანკები ინარჩუნებენ ვალდებულებების სტრუქტურის შესაბამის ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ დონეს. რაც შეეხება დეპოზიტების დაზღვევას, საქართველოში საწყის ეტაპზე, ფიზიკური პირებისთვის, სადაზღვევო ლიმიტი განისაზღვრა 5000 ლარის ოდენობით. 2020 წლის 1 ივლისიდან აღნიშნული ლიმიტი გაიზარდა 15 000 ლარამდე. 2022 წლის 1 იანვრიდან, დეპოზიტების დაზღვევის სისტემას დაემატა იურიდიული პირების დაზღვევა. 2024 წლის 1 იანვრიდან კი დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი 30 000 ლარამდე გაიზარდა.

2018-2024 წლების მონაცემებიდან გამომდინარე, დაზღვეული დეპოზიტების ყველაზე მკვეთრი ზრდა 2020 წლის ბოლოს 100.36% დაფიქსირდა, რაც დაკავშირებული იყო 2020 წელს სადაზღვევო ლიმიტის 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაზრდასთან. ხოლო 2022 წლის 29.88%-იანი ზრდა გამოწვეული იყო იურიდიული პირების დამატებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 15.75%-ით გაიზარდა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტებმა 16.52%-ით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტებმა 14.91%-ით მოიმატა. ამავე პერიოდისათვის სულ დაზღვეული დეპოზიტების ზრდის წლიურმა ნიშნულმა 55.50% შეადგინა, რაც მეტწილად 2024 წლის იანვრის თვიდან სადაზღვევო ზღვრის 15 000 ლარიდან 30 000 ლარამდე გაზრდასთან არის დაკავშირებული.

2018-2024 წლების მიხედვით, სულ ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ცვლილება ასე გამოიყურება: ცხრილი N1

ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა წლების მიხედვით, (მილიარდი ლარი) და ცვლილება(%) 2018-2024 წწ.

ცხრილიN1

წელი	2018	12 2019	12 2020	12 2021	12 2022	12 2023	2024
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23.90	27.24	35.42	38.03	46.03	52.09	60.29
ცვლილება%		13.97	30.01	7.38	21.04	13.15	15.75
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12.50	15.07	18.49	20.29	24.00	27.33	31.85
ცვლილება%		20.53	22.70	9.74	18.27	13.90	16.52
იურიდიული პირების დეპოზიტები	11.40	12.17	16.93	17.74	22.03	24.75	28.44
ცვლილება%		6.75	39.11	4.78	24.20	12.33	14.91
სულ დაზღვეული დეპოზიტები	1.75	2.02	4.04	4.56	5.92	6.86	10.67
ცვლილება%		15.25	100.36	12.72	29.88	15.99	55.50

2024 წელს დეპოზიტების დაზღვევის ფონდში კომერციული ბანკების მიერ რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით 64 264 041 ლარი აკუმულირდა. კუპონის სახით და საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან მიღებულმა შემოსავალმა შესაბამისად 19 651 700 ლარი და 713 936 ლარი შეადგინა. პირველადი სახის შენატანით მიღებულმა შემოსავლებმა 100 000 ლარი შეადგინა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 26 317 ლარი. დაბრუნებულმა ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 42 664 000 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან იფარება სააგენტოს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯები. დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები 2017-2024 წლებში ასე გამოიყურება: ცხრილიN2

დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები და ხარჯები 2017-2024 წწ.

ცხრილიN2

წელი	პირველადი შენატანი	რეგულარული სადაზღვევო შენატანი	სადელამისო სარგებელი	კუპონი	სხვა შემოსავალი	სულ შემოსავალი
2017	1,600,000	0	0	0	0	1,600,000
2018	0	13,843,674	0	349,391	0	14,193,065
2019	0	16,787,385	0	1,541,832	0	18,329,218
2020	0	22,687,212	0	3,436,201	0	26,123,412
2021	0	30,674,444	0	5,229,436	0	35,903,880
2022	100,000	37,678,392	561,955	8,477,992	0	46,818,339
2023	100,000	42,393,708	1,543,994	13,101,77	0	57,139,479

				7		
2024	100,000	64,264,041	713,936	19,651,700	26.317	84,755,955
სულ	1,900,000	228,328,855	2,819,885	51,788,329	26.317	284,863,387

2025 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ 19 ბანკში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა 60,400,730,209 ლარს შეადგენს. მათ შორის, ფიზიკური პირების დეპოზიტები 32,455,699,987 ლარია (ეროვნულ ვალუტაში - 11,319,812,382 ლარი, უცხოურ ვალუტაში 21,135,887,604 ლარის ეკვივალენტი), ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტები 27,945,030,222 ლარი (ეროვნულ ვალუტაში - 18,175,176,915 ლარი, უცხოურ ვალუტაში 9,769,853,308 ლარის ეკვივალენტი). დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების საერთო მოცულობა კი 10,802,368,327 ლარს შეადგენს.

დასკვნა

სახელმწიფოს სტაბილურობა და მდგრადობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საბანკო სექტორის სტაბილურობაზე, ეროვნული ბანკის საფინანსო პოლიტიკის მოქნილობასა და სხვა ფინანსური ინსტიტუციების ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რომელიც უწყვეტად განვითარებადი სტრატეგიული პროცესია და რომლის ერთერთი შემაღენელი კომპონენტია დეპოზიტების და დეპოზიტორების დაზღვევა, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის თანმიმდევრული და სისტემური სტრატეგიის შემუშავებით და მისი შემდგომი განვითარებით, ამასთანავე დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითადი პრინციპებისა და ევროდირექტივებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საქართველოში.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, პრუდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან მისი რეგულირება, საინვესტიციო პოლიტიკა და მართვა უმნიშვნელოვანესი სისტემური ქმედებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური უსაფრთხოების დაცვას, არამედ საზოგადოების, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაცვას და კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან.

როგორც ნებისმიერი სფეროს, ასევე დეპოზიტების დაზღვევის სფეროს გამართული ფუნქციონირების წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანური კაპიტალი, რადგან საზოგადოებისთვის კრიტიკული და კატასტროფული ფინანსური რისკებისგან დაცვა, შემცირება, ან თავიდან აცილება, სხვა არაფერია თუ არა ქვეყნის და საზოგადოების ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოების გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯი. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამაღლებს საზოგადოების ნდობას ქვეყნის საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს ეკონომიკის მდგრად განვითარებას ქვეყანაში. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, როდესაც ადგილი აქვს სისტემის მიერ გატარებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლების, ნდობის მოპოვების და შენარჩუნების მიმართულებით.

Regulation of the Deposit Insurance System and Investment Portfolio Risk Management in Georgia

Tchiotashvili David

Gori State University, Gori, Georgia
ORCID-0000-0002-2500-6252

Chitadze Khaliana

Gori State University, Gori,
ORCID-0000-0001-6795-9484

Abstract

The deposit insurance system, both in different countries of the world and in Georgia, is a dynamic, stable and effective mechanism for socio-economic development. The introduction and improvement of the deposit insurance system was related to the strengthening of the financial security system of the state and the private sector, the protection of depositors and the prevention of systemic crises in the banking sector.

Deposit insurance is a globally proven mechanism for depositor protection, which ensures the protection of deposits and, accordingly, depositors from the loss of deposits, and its main goal is to neutralize and mitigate the risks to banks in the event of an insured event. Accordingly, the main goal of the paper is to study and analyze the regulation of the deposit insurance system in Georgia and the management of investment portfolio risks, the mechanisms for reform management and its economic and financial effect.

The deposit insurance system reform in Georgia has been implemented since 2018, taking into account the experience of international practice and the recommendations of the World Bank. The basic principles on which the investment policy of the deposit insurance risk portfolio is based are the most important factors determining the success of the system. However, the problem is that despite the sharing of international multilateral, theoretical and practical experience, this reform is still in the process of development and requires the formation of a final result.

The investment policy of the deposit insurance risk portfolio provides the means and opportunities for its effective management and ensures the protection of deposits from various financial risks arising from insured events.

Keywords: *deposit insurance; investment policy; risk investment portfolio; banking system; risk management; Deposit Insurance Agency.*